



მენარმე ქალთა ფონდი  
Fund of women Entrepreneurs

# ქალი და ბიზნესი

## Woman and Business

№6

გამოცემას აფინანსებს EED - ეკლესიების  
განვითარების სამსახური (გერმანია)



Publication is financially supported by  
EED (Germany)

ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები,  
შესაძლოა არ ემთხვეოდეს EED-ს მოსაზრებებს

The views expressed in the bulletin does not  
necessarily represent the views of EED

ქაღოი და ბიზნესი

№6

**Woman and Business**

2011

*გიორგოვი 8 მარტი!*

*Happy Women's Day - March 8!*

*ს ა მ რ ე ვ ი*

*C o n t e n t*

სტუმრები დონორი ორგანიზაციიდან	← 5	5 ⇒ GUESTS FROM DONOR ORGANIZATION
ორი წელი უმუშევარი ვიყავი...	← 6	7 ⇒ I WAS UNEMPLOYED FOR TWO YEARS...
ქალთა "ლედი"...	← 8	9 ⇒ BEAUTY SALON "LADY"
სამოქალაქო ფორუმი თემაზე - „ოჯახური ძალადობის პრევენცია - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“	← 10	12 ⇒ CIVIL FORUM ON – "DOMESTIC VIOLENCE – PREVENTION, STRATEGY AND ACTION PLAN"
საერთაშორისო კონფერენცია ვილნიუსში	← 14	15 ⇒ INTERNATIONAL CONFERENCE IN VILNIUS
ახალი ინიციატივა ქალთა მხარდასაჭერად	← 16	17 ⇒ NEW INITIATIVE TO SUPPORT WOMEN
ტრენინგი თემაზე - „მრავალფეროვნების მართვა“	← 18	19 ⇒ TRAINING ON – "DIVERSITY MANAGEMENT"
სამუშაო ადგილები ფოთში	← 20	22 ⇒ NEW WORK PLACES IN POTI
მანანა მოდებაძის წარმატებული „დიოსკურია“	← 24	25 ⇒ MANANA MODEBADZE'S SUCCESSFUL "DIOSKURIA"
იურისტის კუთხე	← 26	26 ⇒ LAWYER'S CORNER

## სტუმრები დონორი ორგანიზაციიდან

აპრილში მენარმე ქალთა ფონდს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ EED -ს წარმომადგენლები - ილონკა ბოლტზე (პროგრამების ოფიცერი ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნებში), მაიკლ კრონენბერგი (უფროსი მენეჯერი), ლევან აბაშიძე (კონსულტანტი საქართველოში).

შეხვედრაზე მენარმე ქალთა ფონდის წარმომადგენლებმა სტუმრებს საკუთარ საქმიანობის შესახებ უამბეს. ილონკა ბოლტზე დაინტერესდა, რამდენად არის ცნობილი მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის და როგორია მათი დამოკიდებულება?

ფონდის თავმჯდომარემ - მერი გელაშვილმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: „თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ჩვენი მუშაობის პარალელურად მიმდინარეობს. ისინი კარგად იცნობენ ჩვენს პროგრამებს, მონაწილეობენ ჩვენს ღონისძიებებში და დადებითად არიან განწყობილი ჩვენი საქმიანობის მიმართ. დახმარება ფინანსური თვალსაზრისით არ შეუძლიათ, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც მათი ჩარევის გარეშე ვერ გვარდება. მაგალითად, ერთ-ერთ მენარმეს სალონის გასახსნელად ნებართვა სჭირდებოდა, მსგავსი სახის დახმარებას ისინი უპრობლემოდ გვინვევენ, კანონის ფარგლებში, რა თქმა უნდა.“ შეხვედრის მეორე ნაწილში სტუმრებმა მენარმე ქალთა ფონდის მიერ ქუთაისში შექმნილი ორი სამუშაო ადგილი დაათვალიერეს: მაია დათიაშვილის სილამაზის სალონი „ლედისა“ და ნანა ჯანჯღავას სამკერვალო სალონის საქმიანობას გაეცნენ.



## GUESTS FROM DONOR ORGANIZATION

In April representatives of EED: Ilonka Boltze (Programme Officer in Balkans and Caucasus), Michael Kronenberg (Senior Manager of financial instruments) and Levan Abashidze (Consultant in Georgia), had a one-day visit to Fund of Women Entrepreneurs.

Representatives of the FWE presented their works to the guests. Ilonka Boltze enquired whether local government was familiar with activities of the FWE and what their reaction was.

Meri Gelashvili, FWE chairperson made the following comment:

“We cooperate with local government simultaneously with our activities, they are aware of our programmes, participate in our events and have positive attitude towards our work. They are not able to help us financially, but there are certain issues, which is impossible to solve without their involvement. For example, one of the entrepreneurs needed permission to open a beauty salon, they provide with this type of support easily, in legal frames of course.”

Guests of the FWE visited two work places as well: beauty salon “Lady” owned by Maia Datiashvili and Nana Janjghava’s sewing workshop.

# ოკი წადი უფუფუფაჰი ვიყავი...

**ნანა ჯანჯღავა ერთ-ერთი იმათათგანია, ვისი ბიზნესიც წარმატებით მუშაობს. მას მუშაობის პროცესში ვესტუმრეთ და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.**

- აფხაზეთში ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ახალ კინდლში ვცხოვრობდი. 12 წლის ვიყავი, იქიდან რომ წამოვედი. ახლა ქუთაისში ვცხოვრობ. სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო კოლეჯში გავაგრძელე სწავლა. მისი წარმატებით დამთავრების შემდეგ კი, თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე მოვეწყვე. პარალელურად, ქუთაისში, სსმი-ის, ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ვსწავლობდი. სამწუხაროდ, ჩემი ოცნების ახდენას - გამოვსულიყავი პედიატრი, ფინანსურმა პრობლემებმა ხელი შეუშალა. ოჯახმა ვერ შეძლო ჩემი სწავლის ქირის გადახდა, თანაც დედაც ხშირად ავადმყოფობდა... ასე რომ, სპეციალობით პედიატრი არა, მაგრამ ეკონომისტი ნამდვილად ვარ.

**- სტუდენტობის პერიოდში დაოჯახდი?**

- ჩემი მეუღლე ექიმი. ის, თბილისში, პრაქტიკაზე ყოფნისას გავიცანი... გვყავს ერთი შვილი - 4 წლის ანა. ოჯახში, მოგეხსენებათ, ათასი საჭიროება იჩენს თავს. გული მწყდებოდა, რომ ჩემი სპეციალობით ვერ დავსაქმდი, მიუხედავად იმისა, რომ წითელ დიპლომზე მაქვს ეკონომიკური ფაკულტეტი დამთავრებული. ძალიან ცუდია, როცა ვერ ახერხებ საკუთარი თავის რეალიზებას. მასხოვს, გავიარე ტესტირება პროკრედიტ ბანკში, გამანაწილეს ბათუმში. იმის გამო, რომ ბავშვი პატარა მყავდა და ვერ მივატოვებდი, უარი ვთქვი სამსახურზე. ფაქტიურად, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 2 წელი დაუსაქმებელი ვიყავი. ბუნებით არ ვარ ინერტული ადამიანი. სულ მქონდა მოთხოვნილება, წამომეწყო საკუთარი საქმე და მომეხდინა ჩემი თავის რეალიზება.

**- ალბათ, ამ მოთხოვნილებამ მოგიყვანა მენარმე ქალთა ფონდში?**

- ნამდვილად. ყველანაირ წყაროს მოვიძიებდი საიმისოდ, რომ საკუთარი შესაძლებლობები წარმომეჩინა და დავსაქმებულიყავი. მას შემდეგ, რაც შევიტყვე მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობაზე, რომ იტყვიან, მოსვენება დავკარგე.

**- და რა შეიტყვე იხეთი, რამაც, როგორც შენ ამბობ, მოსვენება დავაკარგინა.**

- ამ ორგანიზაციაში, მსურველებს, შეეძლოთ უფასოდ გაეცლოთ პროფესიული კურსები(ჭრა-კერვა, ბულალტერია), ბიზნეს-ტრენინგები.

დავესწარი ტრენინგს მცირე ბიზნესის საფუძვლებში. დავნერე პროექტი - მინი-სამკერვალო "პრინცესა". საბედნიეროდ, გავიმარჯვე. ამ ფაქტმა ჩემს ცხოვრებაში სიახლე შემოიტანა. მენარმე ქალთა ფონდმა საქმის წამოსაწყებად მეტად აუცილებელი, 450 ლარიანი საკერავი მანქანა და სხვა საჭირო ნივთები შემიძინა. ამით შეგულიანებულმა, გადაწყვიტე მეთანამშრომლა ჩემს ძმასთან, ინდემნარმე - მამუკა ჯანჯღავასთან, რომელსაც რბილი ავეჯის საამქრო აქვს გახსნილი. მას სჭირდებოდა რბილი ავეჯის გადასაკრავების მკერავი. მეც არ დავაყოვნე: იჯარით ავიღე ფართი და შევუდექი საქმიანობას. ჩემს მიერ წარმოებულ პროდუქციას სწორედ ის ყიდულობს.

**- მასალით ვინ გამარაგებს?**

- პირველ ეტაპზე რეალიზატორებისგან ვიძენდი ნაჭრებს, რომელიც საკმაოდ ძვირი მიჯდებოდა. ფაქტიურად, ორმაგს ვიხდიდი. როგორც კი ცოტათი "მოვლონიერდი", გადაწყვიტე, თავადვე მეზრუნა მის ჩამოტანაზე. ჩავდივართ დუბაიში და იქიდან ჩამოგვაქვს საჭირო ნედლეული. ის მოგება, რაც რეალიზატორს რჩებოდა, ახლა მე მრჩება.

**- შენ ხშირად ამბობ "ჩვენს", ვის გულისხმობ, ბიზნესში შენთან ერთად ვინ არის ჩართული?**

- დიას! მეუღლე და ძმა მეხმარებიან. ისინი დამყვებიან დუბაიში ნედლეულის ჩამოსატანად.

**- რა ასაკისაა შენი ბიზნესი, თუ შექმლი ვინმე დაგესაქმებინა?**

- ერთი წელია, უკვე, ამ საქმიანობაში ვარ ჩართული. ავიყვანე დამხმარე, რომელსაც ვიბარებ იმ პერიოდში, როცა შეკვეთები ბევრია და ვერ ვასწრებ.

**- თუ ხარ დაკვირვებული, როდის აღწევს პიკს შეკვეთების რაოდენობა?**

- იანვარ-თებერვალში. საერთოდ, დღესასწაულებზე იზრდება შეკვეთების რიცხვი.

**- როგორ მოიძიე ის საწყისი თანხა, რომელიც დუბაიში წასასვლელად საჭირო იყო.**

- თიბისი ბანკში ავიღე კრედიტი - 5000 ლარის ოდენობით. 2 თვეა, რაც სესხი დავფარე.

- დღევანდელი გადასახედიდან, როგორ შეაფასებდი შენს საქმიანობას?

- უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. შემიძლია ვთქვა, რომ წარმატებული მენარმე ვარ. მაგალითად, საახალწლოდ, 3000 ლარი სუფთა მოგება დამრჩა, ჩემს ძმას კი - 6000 ლარი. დასავლეთ საქართველოს "პრინციპებით" მარტოს ამარაგებს.

- რას ნიშნავს „პრინციპა“?

- იმ სტილის გადასაფარებლებს, რომელსაც რბილი ავეჯისთვის ვკერავ, „პრინციპა“ ჰქვია.

- როგორია შენი სამომავლო გეგმები?

- გამომდინარე იქედან, რომ რბილი ავეჯის საამქროს ფილიალების გახსნა იგეგმება სხვადასხვა ქალაქში, მეც დამჭირდება გაფართოება, ანუ ავიყვან მკერავებს. შევიძენ საკერავ მანქანებს...

- ნანა, მაინც რა განაპირობებს შენს წარმატებას?

- პირველ რიგში, მონდომება, საკუთარი თავის რწმენა. ადამიანმა საკუთარი თავის რეალიზება იმ სფეროში უნდა მოახერხო, რომელშიც წარმატებული იქნები. ძალიან დიდი ბიძგის მომცემი იყო მენარმე ქალთა ფონდის მიერ ჩემთვის შეძენილი საკერავი მანქანა.

- რა მოგიტანა მცირე ბიზნესში დასაქმება?

- გამოცდილება, საკუთარი ფული. მართალია, ჩემი მეუღლე წლებია, მუშაობს და ოჯახს არაფერს აკლებს, მაგრამ ჩემი უმუშევრობა მაკომპლექსებდა. იყო პერიოდები, როცა რაღაც მინდოდა და დამიმალავს. სულ სხვაა, როცა ქალს საკუთარი ფული გაქვს და მისი განკარგვა შეგიძლია, არ ხარ სხვაზე დამოკიდებული. თვითკმაყოფილების გრძნობა გამიჩნდა, უფრო მყარად ვგრძნობ თავს. ქალისთვის 500 ლარი ცოტა არაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეკონომიკურად დამოუკიდებელი ვარ.

- ნანა, რას ურჩევ ქალებს, რომლებსაც მცირე ბიზნესის წამოწყება სურთ?

- არასოდეს დაეცნენ სულით. იყვნენ იმედიანად. დიდი მონდომებაა საჭირო, რომ წარმატებას მიაღწიო.



# I WAS UNEMPLOYED FOR TWO YEARS...

**Nana Janjghava is among those whose work place is profitable. We visited her during working process and asput several questions.**

- I used to live in Kindghi village, Ochamchire, Abkhazia. I was 12 when left that place and now live in Kutaisi. After school I continued to study at medical college. After its successful completion I was enrolled in Ivane Javakhishvili Tbilisi State University on Medical Faculty. Simultaneously I studied economics in Kutaisi part-time. Unfortunately my dream to become a pediatrician was impeded by financial problems. My family could not afford to pay my study fee and mother was often ill as well... However I could not become a pediatrician managed to become an economist.

- Did you get married while being a student?

- My husband is a doctor. I met him in Tbilisi ... We have one child. I could not find job with my profession however I had a red diploma in economics. It is very awful when you cannot manage to self-realization. Once I took a test at Procredit Bank and was offered job in Batumi. But my child was too small I would not be able to leave her and refused. In fact two years after graduation I was unemployed. I always wanted to start my own business and achieve a self-realization.

- Has this desire brought you to the FWE?

- Definitely. I had no rest since I heard about the works of the Fund of Women Entrepreneurs.

- What have you heard that made you to lose rest?

- Possibility to take vocational courses and business trainings in the organization free of charge.

- I attended training in basics of small business and drafted a project – mini-sewing shop “Princess”. Fortunately I won it. This fact brought novelty into my life. FWE bought for me the sewing machine of 450 Lari and other necessary things to start a business. I decided to cooperate with my brother, individual entrepreneur – Mamuka Janjghava – who owns furniture workshop. He needed tailor of furniture covers. I have not hesitated: rented a space and started to work. He buys the product made by me.

**- Who supplies you with the materials?**

- Initially I used to buy materials locally which were quite expensive, as had to pay double price. When I became financially a bit stronger decided to bring it myself. We bring it from Dubai.

**- You often use “We”, whom do you mean, who is involved in the business besides you?**

- My husband and brother help me. They travel with me to Dubai.

**- How old is your business and have you managed to employ others?**

- It has been a year since I started the business, and have hired an assistant, who works during the periods when I have lots of orders.

**- Have you noticed when your orders reach a peak?**

- In January-February. Usually number of orders increases during holidays.

**- How did you manage to find necessary funds to travel to Dubai?**

- I took a credit in amount of – 5000 Lari from TBC bank and covered it 2 months ago.

**- How would you evaluate your business from present perspective?**

- I am definitely satisfied I may even be called a successful entrepreneur. For example for the New Year period my net profit was 3000 Lari and my brother’s was 6000 Lari. He is the only supplier of “Princesses” in West Georgia.

**- Why “Princess”?**

- The style of the covers I sew for the furniture is called “Princess”.

**- What are your future plans?**

- I plan to expand my business, hire tailors and buy sewing machines, hence it is planned to open a branch of the furniture workshop in various cities.

**- Nana, could you identify the factors that led to you to the success?**

- Desire in the first place and self-confidence. Everyone should reach self-realization in the field that will be successful. Sewing machine bought for me by the FWE was a huge step forward.

**- What has small entrepreneurship brought to you?**

- Experience and own money. Though my husband has been working and supporting the family for years, my unemployment made me feel inconvenient. There were periods when I wanted to work but hid that desire. It is totally different when a woman has her own money and may spend it independently. Feeling of self-confidence arose in me. 500 Lari for a woman is not a small amount. I may say that I am economically self-reliant.

**- Nana, what would you recommend to those women who want to start a business?**

- Never to give up, always have hope. It takes a lot of hard work to achieve success.

## მართა “ღერძი”...

**მაია დათიაშვილი ქუთაისელია. 15 წლის იყო, როცა ზაზა სვანაძესთან ერთად ოჯახი შექმნა. დღეს ის 16 წლის ვაჟის დედაა.**

- მეცხრეკლასელისთვის დაოჯახება ბეჭებზე აკიდებული მძიმე ტვირთია, - გამოცდილებას გვიზიარებს მაია. - სკოლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო სკოლაში გავაგრძელე სწავლა. თუმცა, ჩემი საქმიანობა თავიდანვე სავაჭრო სფეროთი შემოიფარგლა...

ექვსი თვის განმავლობაში მაია ქმართან და 4 წლის შვილთან ერთად უკრაინის ქალაქ მა-

რიოპოლში ცხოვრობდა და სამენარმეო საქმიანობას ეწეოდა. დროის ამ მონაკვეთში ოჯახში მხოლოდ ის მუშაობდა. ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ მისმა მეუღლემაც ბიზნეს-საქმიანობა წამოიწყო.

- მიუხედავად იმისა, რომ ზაზა მუშაობდა, ჩემს დასახმარებლადაც პოულობდა დროს. რუსეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამომქონდა საქონელი და თავადვე ვუკეთებდი რეალიზაციას. უნდა ითქვას, რომ ეს საქმე კარგად გამომდიოდა.

თავისი საქმიანობით კმაყოფილი მაია ამას არ დასჯერდა და საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა გადაწყვიტა. კომპიუტერის შესწავლის სურვილმა მენარმე ქალთა ფონდში მოიყ-



ვანა და... ოცნებაც აიხდინა. შემდეგ ცოდნის გაღრმავებისა და ქალთა სალონის გახსნის მიზნით ბიზნეს-ტრენინგს დაესწრო და მინი-პროექტების კონკურსშიც გაიმარჯვა. ფონდის მესვეურებმა საკუთარი სალონისთვის სარკეები, მაგიდები, სკამები, თმის საშრობი და სხვა საჭირო ინვენტარი შეუძინეს.

- ჭავჭავაძის გამზირზე იჯარით ავიღე ფართი. სალონში კოსმეტოლოგი და სამი სტილისტი დავასაქმე. ორ მათგანს მენარმე ქალთა ფონდის ბიზნეს-ტრენინგი აქვს გავლილი. რეკომენდაცია ფონდელებმა გაუწიეს. მოხარული ვარ, რომ დღეს ისინი ჩემი თანამშრომლები არიან. კლიენტები კმაყოფილები არიან მათი მომსახურებით. ეს კი აძლიერებს მომხმარებელთა ინტერესს ჩემი სალონისადმი. „ლედიში“ თმის

შეჭრა ხუთი ლარი ღირს, დავარცხნა - ოთხი ლარი, შეჭრა-დავარცხნა - ათი ლარი. ასე, რომ ჩვენი მომსახურება მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია, ჩემთვის კი მომგებიანი...

მაიას იდეები არ ელევა: კომპიუტერული მომსახურება, საქორნილო მანქანების დიზაინი, მასაჟისტიკის აყვანა, სოლარიუმის გახსნა - ამ ყველაფერზე უკვე ფიქრობს და ღრმად არის დარწმუნებული, რომ განახორციელებს კიდევ. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ მას.

**ნანა ჯიქია**

## **BEAUTY SALON "LADY"**

**Maia Datiashvili is from Kutaisi. She was 15 when married Zaza Svanidze and now has 16 years old son.**

- To get married in the ninth grade at school is quite a heavy burden- says Maia. – After completion of school I continued to study at Arts School, however my profession finally was limited to trade...

During six months Maia her husband and 4 years old son lived in Mariopol city in Ukraine and where she was occupied with entrepreneurship. At that time she was the only family member that worked. After returning to Kutaisi her husband started business as well.

- Although Zaza was working, he always found time to help me. I used to bring products from Russia, Turkey and Azerbaijan and sell it myself. I may say that the business went quite well.

But it was not enough for Maia and decided to test her capabilities. Desire to obtain computer skills brought her to the FWE. And consequently she managed to make her dreams come true free of charge. She attended the training to deepen knowledge and to start a new business and finally won the contest. FWE bought for her special mir-



rors, tables, chairs, hair dryers and other necessary tools for the beauty salon Maia named "lady".

- I rented a space on Chavchavadze Avenue and hired a cosmetologist and three stylists. Two of them have passed the business-trainings of the FWE and had references from the Fund. I am glad that today they work with me and my clients are satisfied with them as well. Haircut in Lady costs 5 lari, hairdo – 4 lari, haircut and hairdo – 10 lari, this way our service is affordable for our citizens and profitable for me... Maia has plenty of other ideas as well: computer service, design of wedding cars, hiring a massager, and opening of a solarium – she is already thinking about them and is confident that will implement. All we have left to do is wish her luck.

**NANA JIKIA**

## საქართველო ფოკუსში თემაზე - „ოჯახური ძალადობის პრევენცია - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“

ცხრა მარტს ქუთაისში, სასტუმრო „ტირიფების“ საკონფერენციო დარბაზში ფონდი „სოხუმისა“ და მენარმე ქალთა ფონდის ერთობლივი სამოქალაქო ფორუმი ჩატარდა. ღონისძიება ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის, ასი წლისთავს მიეძღვნა.

„ოჯახური ძალადობის პრევენცია - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ - ამ თემის განსახილველად ხუთი სხვადასხვა ჯგუფი გაერთიანდა: სახელმწიფო სტრუქტურები, მასშედი, ფსიქოლოგები და იურისტები, საზოგადოება - აქტივისტი ქალები, მენარმეები. მენარმეებს წარმოადგენდნენ ქალები ფოთიდან, ზესტაფონიდან, ხონიდან, ვანიდან. ფორუმის თემიდან გამომდინარე, ჯგუფებმა იმუშავეს პრობლემაზე - „ოჯახური ძალადობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალებზე“.

ფორუმზე მენარმე ქალებმა საკუთარი პროდუქციის გამოფენაც მოაწყვეს. საგამოფენო კუთხე მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: საკონდიტრო, კულინარიული ნაწარმი, აჯიკა და სხვადასხვა სახის სანებელი, ნატურალური თაფლი, ხის ნაკეთობები, ნაქსოვი, შეკერილი პროდუქცია...

ფორუმი მიჰყავდა მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარეს მერი გელაშვილს, რომელმაც დღის წესრიგი და მუშაობის ძირითადი მიზანი გააცნო შეკრებილებს:

„ეს შეხვედრა მიმართულია იქითკენ, რომ ერთობლივად, საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად შევიმუშაოთ ის სტრატეგია, რომელიც ძალადობის პრევენციას ისახავს მიზნად. ჩვენი ერთობლივი მუშაობა უსათუოდ გამოიღებს შედეგს, რადგან სწორედ კოორდინირებული ქმედებით არის შესაძლებელი პოზიტიური შედეგების მიღწევა“.

მოსხენება მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობაზე კოორდინატორმა მირანდა გვანცელაძემ გააკეთა: მან აღნიშნა, რომ ქალის მიმართ ძალადობა გლობალური პრობლემაა და იგი არანაირ საზღვრებში არ ჯდება. პრობლემა ძალიან ხშირად გამომდინარეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და უმუშევრობა, სოციალური პრობლემები სერიოზულ ნიადაგს უქმნის.

საუბარი იყო იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი მცირე ბიზნესის განვითარება უნდა იყოს, რაც განაპი-

რობებს მისი ეროვნული პროდუქტის ზრდას და სოციალურ სტაბილურობას.

„ფაქტია, რომ საქართველოში, რეალურად, ოჯახური ძალადობის გაცილებით მეტი შემთხვევა ფიქსირდება, ვიდრე ეს ოფიციალურ მონაცემებში ჩანს. ვინაიდან ქალები, როგორც წესი, ინცინდენტის განმარტებებს მაქსიმალურად ერიდებიან, რაც ხშირ შემთხვევაში გაცილებით მძიმე შედეგების წინაპირობა ხდება“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცირე ბიზნესში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობით, მათთვის სამუშაო ადგილების შექმნით და პროფესიული დონის ამაღლებით, მენარმე ქალთა ფონდი ცდილობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს ოჯახური ძალადობის პრევენციის საქმეში. რადგან, რაც უფრო ძლიერი და სტაბილურია ქალის ეკონომიკური მდგომარეობა, მით უფრო ნაკლებია შანსი - გახდეს ძალადობის მსხვერპლი. მენარმე ქალთა ფონდის მიზანია ქალთა ეკონომიკური აქტივობის გაზრდა, ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება და დევნილი საზოგადოების ადგილობრივ საზოგადოებასთან ინტეგრაციის მხარდაჭერა.

მოსხენებაში, ამავდროულად, საუბარი იყო მენარმე ქალთა ფონდის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში მიღწეულ შედეგებზე და გამოწვევებზე. „ფონდის მიერ გავლილმა გზამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ჩვენს ბენეფიციართა არეალის გაზრდა. ორგანიზაცია ძირითადად ორიენტირებული იყო დევნილ ქალებზე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა დაგვარწმუნა, რომ დევნილთა დაბრუნება შორი პერსპექტივაა და ამიტომაც აუცილებელია მათი ინტეგრირება ადგილობრივ თემში. მივედით დასკვნამდე, რომ იმ აქტივობებში, რომელსაც ვატარებთ, უნდა ჩავრთოთ ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით ის ოჯახები, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობენ. 2009-2010 წლების განმავლობაში მენარმე ქალთა ფონდის მიერ ორგანიზებული იქნა 25 სამუშაო ადგილი. ბენეფიციარებს შორის არიან ახალი დევნილები - წეროვანსა და გეგუთში, ორი სამუშაო ადგილი შეიქმნა აფხაზეთის საზღვრისპირა სოფლებში ნაბაკევსა და ხურჩაში.“

კოორდინატორმა ისაუბრა საინფორმაციო მუშაობაზეც: „ორგანიზაციაში სერიოზული მუშაობა ხორციელდება საინფორმაციო კუთხით, გამოვიდა დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება ქალებს, გაერკვნენ მცირე

ბიზნესის საფუძვლებში. პერიოდულად გამოდის საინფორმაციო ჟურნალი „ქალი და ბიზნესი“. ის ეხმარება მკითხველს, გაეცნოს მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობას, მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაციები. ჟურნალში იბეჭდება სტატიები წარმატებულ მენარმეებზე, რაც არის ერთგვარი სტიმული, მაგალითი, რომ სხვა ქალებიც აქტიურად ჩაერთონ მცირე ბიზნესში.

რუბრიკა - იურისტის კუთხე - მიზნად ისახავს, მენარმეებმა მიიღონ საჭირო ინფორმაციები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ჟურნალის ინგლისური ვერსია იძლევა საშუალებას, საერთაშორისო ორგანიზაციები, წარმომადგენლები გაეცნონ გამოცემას.

ტელეგადაცემების მიზანია ქალთა მცირე ბიზნესის განვითარების პროპაგანდა, მენარმე ქალთა მიერ განხორციელებული საქმიანობების გაშუქება. საზოგადოების ინფორმირება ქალთა სამენარმეო საქმიანობის შესახებ.

გადაცემის ეფექტურობაზე მეტყველებს სტუდიაში შემოსული ზარების სიმრავლე.

პროფესიული გადამზადების კურსები ინგლისურის, კომპიუტერის, საბუღალტრო აღრიცხვის შესასწავლად 300-ზე მეტმა მსმენელმა გაიარა, მათ შორის არიან ისინი, რომლებსაც სწორედ აქ მიღებული უნარები დაეხმარათ დასაქმებაში.

პერიოდულად ჩატარებული სამუშაო ადგილების მონიტორინგი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს ის პრობლემები, რომელთაც ჩვენი მენარმეები მუშაობის პროცესში აწყდებიან, გამოვლინდეს, რამდენად იქნა გათვალისწინებული ის რისკ-ფაქტორები, რომელიც ნებისმიერი საქმის დაწყებას ახლავს თან“.

მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ მუშაობა ჯგუფებში წარიმართა. მენარმეთა ჯგუფი აქტიურად შეუდგა პრობლემაზე მუშაობას.

ჯგუფის წევრები კოლეგიალურად მუშაო-

ბდნენ. ცდილობდნენ, საკუთარი მოსაზრება თუ გამოცდილება გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის. დასაწყისში აქცენტი გააკეთეს ძალადობის იმ ფორმებზე, რომელიც განსაკუთრებით გავრცელებულია. მათი აზრით, ეს არის ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის ძალადობა.

პრევენციულ ღონისძიებებს შორის სხვადასხვა ფაქტორები მოიაზრეს. აღინიშნა, რომ მძიმე სოციალური ფონი, ეკონომიკური სიდუხჭირე პირდაპირ კავშირშია ძალადობასთან. აქედან გამომდინარე, პრევენციულ ღონისძიებებში ძირითადი აქცენტი სწორედ ქალთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გაკეთდა. თუ ქალი ეკონომიკურად ძლიერია, ის ნაკლებად შეიძლება, გახდეს ძალადობის მსხვერპლი.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ რაც უფრო მეტი ქალი დასაქმდება, მით ნაკლები პოტენციური მსხვერპლი გვეყოლება. მონაწილეებმა ისაუბრეს ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ ფონზე, რომელიც ხელს უშლის მამაკაცს, შეასრულოს ტრადიციული „მემომტანის“ ფუნქცია. ეს, მათი აზრით, ოჯახში ქმნის ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რაც შემდგომ ოჯახში ძალადობის სახით გამოიხატება.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები, ოჯახური ძალადობის შესახებ კანონის სრულად ამოქმედება და საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოება რეგიონებში როგორც ქალებთან, ასევე ახალგაზრდა გოგონებთან.

პრევენტატორებმა „იდეათა ფარდავით“ ნათლად წარმოაჩინეს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი მცირე ბიზნესის განვითარება და მასში ქალთა ჩართვა უნდა იყოს, რადგან ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასთან.

ლიანა ყურაშვილი



## CIVIL FORUM ON – "DOMESTIC VIOLENCE – PREVENTION, STRATEGY AND ACTION PLAN"

**On the ninth of March, Fund of Women Entrepreneurs and Fund Sukhumi conducted joint civil forum, in the conference hall of hotel "Tiripebi", Kutaisi. The forum was dedicated to 100<sup>th</sup> anniversary of women's international Day, 8<sup>th</sup> of March.**

Representatives of five different groups: official authorities, mass-media, psychologists, lawyers and civil society – women activist and women entrepreneurs, from Poti, Zestaponi, Khoni and Vani, were gathered to discuss the topic – "Domestic Violence – Prevention, Strategy and Action Plan."

In accordance with the topic of the meeting, groups worked on the problem – "Negative impact of domestic violence on women."

Women entrepreneurs presented their products in frames of the forum as well. The exhibition corner was rich with variety of products: pastry, culinary products, Ajika, various sauces, honey, sewed, knitted products...

The meeting was led by Meri Gelashvili, Chairperson of the Fund of Women Entrepreneurs who acquainted the attendants with the forum's agenda and major goal:

"Aim of the meeting is to elaborate strategy for violence prevention in collaboration with various structures of the society. Our joint work will be undoubtedly fruitful because coordinated efforts lead to positive results."

Miranda Gvantseladze, Coordinator made a presentation on works of the FWE. She stated that violence is a global issue and has no boundaries. Frequently the problem is closely related to social-economic conditions of a country, where unemployment and social issues create basis for its development.

Development of small entrepreneurship, as a

priority for economic development of a country, was discussed during the meeting, as the developed small entrepreneurship leads to increase of GDP and social stability.

"Apparently, official data on domestic violence is insufficient in comparison with real cases in Georgia. Because women avoid divulgence of the cases maximally and this frequently becomes precondition for worse outcomes."

The Rapporteur mentioned that Fund of Women Entrepreneurs, through supporting women's involvement into small entrepreneurship, creating new work places and rendering with educational skills, tries to contribute its efforts in prevention of domestic violence. Stronger and more stable is the economic condition of a woman fewer is the possibility of her becoming a victim of domestic violence. Therefore aims of the FWE are raising economic activities of women, development of leadership skills and supporting the internally displaced society in integration with the local community.

The presentation included information regarding achievements and challenges of the FWE during the last two years. "Past experience of the FWE led us to the conclusion that it was neces-



sary to expand scope of our activities, and it was reflected on our works with the target groups that mostly consisted of IDP women. Georgian-Russian war in 2008 made it evident that return of IDPs was a far perspective and it was necessary to direct efforts on their integration into local community. We decided that local population should be involved in our activities as well, especially the families who live beyond poverty level. During 2009/2010 FWE organized 25 work places, including for new IDPs in – Tserovani and Geguti, and 2 work places were created in Nabakevi and Khurcha villages bordering with conflict region of Abkhazia.”

She talked about informational activities as well.

“The organization is taking serious steps towards raising public awareness. New guidebook, helping women to understand basics of entrepreneurship, was published. Newsletter “Woman and Business” is published periodically, informing women about activities of the FWE and providing with other necessary information. Articles on successful women entrepreneurs are published in the periodical which is type of stimulus for other women to start their own businesses. Aim of the rubric – lawyer corner is to provide readers with essential legal information. English version is designed for representatives of international organizations and donors.

Aims of the television programs are promotion of women’s small entrepreneurship and raising public awareness regarding the issue. Number of phone calls from the audience is the proof of the programs’ effectiveness.

Vocational courses in English language, computers, accounting were taken by more than 300 students, including those for whom skills gained on the courses helped to find jobs.

Monitoring of the work places revealed problems our entrepreneurs face with during the process. Also it enables to define how efficiently the risk-factors, characteristic to every business activity, were determined.”

The presentation was followed by group works. Group of entrepreneurs started to work on problems actively.



Initially group members defined forms of violence mostly spread, which included economic and psychological types of violence.

Group members worked collegially and tried to share their experience. During the process, they considered various factors among the preventive measures. It was emphasized that grim social situation and poverty were directly linked to the violence. Consequently major attention was paid to economical self-reliance of women. If a woman is economically independent – there will be less chance for her becoming a violence victim.

Participants also talked about severe social and economic situation in the country, which impedes men to carry out traditional function of family’s “breadwinner”, which in their opinion creates harsh psychological problems in the family later transformed into domestic violence.

Under necessary measures, the group members considered changes in legislation – full enter into force of the law on domestic violence and extension of educational works in the regions with both women and young girls.

The rapporteurs provided clear evidences that one of the priorities of the country’s economic development should be development of small entrepreneurship and active involvement of women into the field, as it is directly related to prevention of domestic violence against women.

**DIANA KURASHVILI**

# საერთაშორისო კონფერენცია ჰიდნიუსში

ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში 3-4 მარტს საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა, რომელიც ორგანიზებული იყო OSCE - ს გენდერულ საკითხებში გენდერული განყოფილების, ლიტვის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და გენდერული კვლევების ცენტრის მიერ.

კონფერენციის თემა იყო სამენარმეო საქმიანობა OSCE - ს რეგიონებში.

**კონფერენციის მსვლელობის დროს გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდები:** ექსპერტების მოხსენებები და ინტერაქტიული დავალებები. მოხსენებები მიმდინარეობდა შემდეგი თემატიკით:

- ქალთა ეკონომიკური უფლებები და უსაფრთხოება;
- რისკები, გამოწვევები და პროგრესი ქალთა სამენარმეო საქმიანობაში;
- ქალთა ეკონომიკური აქტიურობის სტიმულირება; ქალთა სამენარმეო ასოციაციების როლი;
- სახელმწიფო, კერძო სექტორი და საერთაშორისო ინიციატივები.

ექსპერტებად წარმოდგენილი იყვნენ ქალები OSCE -ს სხვადასხვა ქვეყნიდან: აშშ, ლიტვა, ალბანია, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, სერბეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, მოლდოვა, შვედეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, სომხეთი.

ექსპერტების ყოველი გამოსვლის შემდეგ პრობლემების გარშემო იმართებოდა დებატები, კონფერენციის მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაესვათ შეკითხვები, გაეკეთებინათ კომენტარები და შეეთავაზებინათ რეკომენდაციები.

კონფერენციის მესამე ნაწილი დაეთმო სექციურ მუშაობას. სექციებში მონაწილეთა ჩანერა იყო ნებაყოფლობითი და ყველას ჰქონდა შესაძლებლობა, ემუშავა იმ ჯგუფში, იმ პრობლემაზე, რომელიც მას აინტერესებდა.

**სულ 4 სექცია მუშაობდა:**

- ქალთა ნაციონალური სამენარმეო ასოციაციების როლის გაძლიერება. (ნამყვანი კორნელია სპერლინგი);
- მენარმე ქალთა ინტერესების გათვალისწინება სახელმწიფოებრივ რეფორმებში, სახელმწიფოებრივ-კერძო პარტნიორულ ურთიერთობებში და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. (ნამყვანი მელანი ბიგსბი);
- რეგიონალური ქსელების პოტენციალისა და საერთაშორისო პროგრამების მაქსიმალისაცია. (ნამყვანი ქრისტინე არვესენი);
- საინფორმაციო უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა პოტენციალის გაზრდის საშუალებებთან, ფონდებთან და ქალთა სამენარმეო ცენტრებთან (ნამყვანი დანა ბენეტი).

სექციური მუშაობის შედეგები წარმოადგინეს ნამყვანებმა.

**წარმოდგენილი ნამუშევრები იყო პასუხი კითხვაზე: რა არის გასაკეთებელი?**

ვილნიუსის კონფერენციის დამასრულებელი აკორდი იყო დისკუსია განხილულ თემების ირგვლივ და შეფასებები მონაწილეთა მხრიდან.

კონფერენციის მაღალ დონეზე მომზადების ხარჯზე, დროის მცირე მონაკვეთში მივიღე ძალიან ღრმა ინფორმაცია 25 ქვეყნის ქალთა სამენარმეო საქმიანობაზე. გავეცანი მთავრობების, ადგილობრივი მსხვილი ბიზნესმენების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომებს, რომლებიც მხარს უჭერენ ქალთა სამენარმეო საქმიანობის, ქალთა ბიზნესის განვითარებას და ეძებენ ქალთა მიმართ ძალადობის, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანთა ვაჭრობისა და ქალთა მიგრაციის შეწყვეტის გზებს.

მქონდა საშუალება, ახლოს გავცნობოდი და პიროვნული ურთიერთობა დამემყარებინა ძალიან ბევრ საინტერესო ქალთან.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ საერთაშორისო კონფერენციებს. ბიზნესის განვითარება, როგორც არაერთხელ ითქვა კონფერენციაზე, ურთიერთობაში უნდა იყოს საკანონმდებლო უზრუნველყოფასთან. რაც, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული პრობლემების გადაწყვეტისაკენ.

იმ გამოცდილებებიდან გამომდინარე, რომელიც დაფიქსირებული იყო როგორც ექსპერტების, ასევე დებატებში გამომსვლელთა მიერ, დავრწმუნდი იმ გადაწყვეტილების სისწორეში, რომელიც გულისხმობს „მენარმე ქალთა ფონდის“ სახელისა და სტრუქტურის შეცვლას და „მენარმე ქალთა ასოციაციად“ გადაკეთებას.

რეორგანიზაციის მიზანია, გავაერთიანოთ მენარმე ქალები და მივცეთ საშუალება ყველას, ვისაც სურვილი აქვს თავისი წვლილი შეიტანოს ქალთა მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში.

- დასავლეთ საქართველოს ქალთა ქსელის ჩამოყალიბება (სამეგრელო, იმერეთი, აჭარა, გურია) იმ ორგანიზაციათა და ქალთა გაერთიანებით, რომლებიც დაკავებული არიან, ან აქვთ სურვილი ქალთა სამენარმეო საქმიანობის განვითარებისა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ღონისძიების ორგანიზატორებს იმისათვის, რომ მომცეს საშუალება, მონაწილეობა მიმელო კონფერენციაში მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღეს OSCE არ მუშაობს (არა საქართველოს ბრალეულობით).

იმედს ვიტოვებ, რომ შესაძლებელი იქნება, შემდეგი კონფერენცია ჩატარდეს საქართველოში.

**მერი ბელაშვილი**  
მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარე

# INTERNATIONAL CONFERENCE IN VILNIUS

**International conference was held in Vilnius, Lithuania, on 3-4 March, 2011, organized by OSCE Gender Section in cooperation with Ministry of Social Security and Labor of Lithuania and Gender Studies Center/University of Vilnius.**

**Theme of the Conference:** "Women's Entrepreneurship in the OSCE region: Trends and Good Practices"

**Techniques used:** Presentations by experts and interactive assignments

**Experts held 4 plenary sessions on the following topics:**

- Implementation of economic rights of women and security;
- Risks, challenges and progresses in the field of women's entrepreneurship: evidences from the ground
- Promotion of women's economic activities: role of entrepreneur women's associations
- Government, private sector and international initiatives supporting growth of women's economic activities.

Women from OSCE region and the USA: Lithuania, Albania OSCE representative; Uzbekistan, Tajikistan, Serbia, Germany, Moldova, Sweden, USA, Ukraine, Kyrgyzstan, UK and Armenia represented the experts.

Each presentation by the experts was followed by questions, comments and recommendations.

Third part of the conference was dedicated to group works. Participants were enlisted in each section voluntarily, where each of them had an opportunity to choose a field they were most interested in.

**The sections were:**

- Empowerment of role of the entrepreneur women's associations; (Rapporteur: Cornelia Sperling)
- Consideration of the interests of women entrepreneurs in state reforms, government-private partnerships and international organizations (Rapporteur: Melanie Bixby)
- Capacity building of regional networks and international programmes (Rapporteur: Christina Aversen; Sweden)
- Raising awareness and accessibility to capacity building through the fund and the center for women entrepreneurs (Rapporteur: Dinah Bennett)

**- Outcomes of section group works presented by each rapporteur.**

**The outcomes represented answer to the following question:**

What is needed to be done? What are the follow up actions of the Vilnius Conference?.

Final stage of the conference was dedicated to discus-

sions and evaluation of the conference.

To conclude, in a very short period, due to the conference's high-level of arrangement, both thematic and logistical sides (presentations, selection of experts, thematic programmes and etc), I was able to receive wide range of information regarding women's entrepreneurship issues in 25 countries, advantages of establishment of local and transboundary associations, working with both governmental bodies and local big-scale businessmen, peculiarities and approaches of various international organizations supporting women's entrepreneurship and fighting against violence against women, human trafficking and trading and working on issues concerning women migration. I had a chance to get acquainted and make contacts with many interesting women.

Once again I am reassured in significance of this type of international conferences, which is a perfect tool for experience sharing. The phrase was frequently repeated by the experts during the presentations and later in the discussions. Development of women entrepreneurship, as it was often mentioned during the conference, should be interlinked with legislation, i.e. amendments in legislation on protection of women's rights concerning entrepreneurship should be initiated, also it should be directed towards solution of gender-specific issues, as well as –responsibility against violence against women and domestic violence.

Based on the experience of the experts and participants of the discussions, I was reassured in appropriateness of the idea, which was born a year ago: to rename "Fund of Women Entrepreneurs" into "Association of women - entrepreneurs" in order to gather all our beneficiaries and those who are willing to contribute in development of women's entrepreneurship.

- Establishment of network for west Georgia (regions: Imereti, Guria, Samegrelo, Ajara), the organization occupied with development of women's entrepreneurship.

Based on the results of the conference the following activities are planned for April:

Additionally, I would like to express my deepest gratitude to the organizers of the Conference for granting us the opportunity to participate in it; particularly the OSCE, which despite the fact that the organization does not operate in Georgia any more has invited us on the meeting. Hope I will be able to attend this type of meetings in the future and hope that the next meeting may be held in Georgia.

**MERI GELASHVILI**  
**Fund of Women**  
**Entrepreneur-chairperson**



# ახალი ინიციატივა ქალთა შესწავლისთვის

**სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილების გაზიარება და საკუთარ საქმიანობაში დანერგვა ისრაელში სამუშაო ვიზიტით ყოფნისას გადამწყდა. მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარე მერი გელაშვილი ასეთ კომენტარს აკეთებს:**



„გასულ წელს სამუშაო ვიზიტით ისრაელში ყოფნისას საშუალება გვქონდა, გავცნობოდით ისრაელში ქალთა ორგანიზაციების მუშაობას, მათ შორის განსაკუთრებით დაგვაინტერესა “MAFYD“-ის საქმიანობამ, რომელიც საშუალო ასაკის უმუშევარი ქალების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვასა და დასაქმების ხელშეწყობას გულისხმობს.

გადავწვიტეთ მსგავსი ინიციატივის საკუთარ საქმიანობაში დანერგვა, რადგან ჩვენი საქმიანობა ქალთა მხარდაჭერას, მათ დახმარებას გულისხმობს.

სკოლა ქალებისათვის - „ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საქმიანი ეთიკების ნორმები“ - ასე ჰქვია პროექტს, რომელიც აპრილიდან ამოქმედდება.

პროექტი პილოტურია და მისი სამოქმედო გეგმა შემდეგ ღონისძიებებს გულისხმობს: სკოლაში შერჩევის წესით მოხვდება ათი ქალი, რომლებიც არიან საშუალო ასაკის, აქვთ უმაღლესი განათლება და არიან უმუშევრები, იმიტომ რომ ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნებს შრომის ბაზარზე.

